



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 70

მაისი / 2026

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა: მუხაესტატეს დასახლებაში მდგრადი წყალმომარაგებისა და გაართული წყალარინების სისტემები იქმნება

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მუხაესტატეს დასახლებაში სადაც 39 ოჯახი ცხოვრობს, არასდროს არსებობდა წყალმომარაგებისა და წყალარინების გამართული სისტემები. დასახლებაში განსაკუთრებით რთული ვითარება გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში იქმნება, როდესაც წყლის დეფიციტი მოსახლეობისთვის კიდევ უფრო საგრძნობი ხდება. მდგრადი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების არარსებობა წლების განმავლობაში გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახებისთვის რასთან გამკლავებასაც ისინი ინდივიდუალურად მოწყობილი, დროებითი სისტემების მეშვეობით ცდილობენ.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, მუხაესტატეს დასახლებაში წყალმომარაგებისა და წყალარინების მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიზანია დასახლებაში WASH პირობების გაუმჯობესება და უსაფრთხო, 24/7 უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის შექმნა.



მუხაესტატეს დასახლებაში სამშენებლო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2026 წლის ბოლოსთვის, რის შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალი ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

მუხაესტატეს პროექტი პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს იქნება ერთადერთი დასახლება, სადაც რეზერვუარი შემალღებულ ადგილზე მოეწყობა. აღნიშნული რეზერვუარი უზრუნველყოფს წყლის სტაბილურ წნევას და სოფლის სხვადასხვა ნაწილში წყლის საიმედო განაწილებას. მოსახლეობა ასევე ისარგებლებს მიწისქვეშა წყლების საფუძველზე მოწყობილი წყალმომარაგების სისტემით.



წყალმომარაგების სისტემასთან ერთად, დასახლებაში წყალარინების ინფრასტრუქტურაც შენდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამი კომუნალური სექტორული ავზის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს დასახლებაში ჩამდინარე წყლების უსაფრთხო მართვას.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.



Funded by
the European Union



KFW



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 70

May / 2026

AJARA RURAL WATER SUPPLY AND WASTEWATER PROGRAM - RELIABLE WATER SUPPLY AND ADEQUATE WASTEWATER SERVICES ON THE WAY TO MUKHAESTATE VILLAGE

In Kobuleti Municipality, in Mukhaestate village, 39 families live in their households. Never in the past existed an adequate water supply or wastewater system. The situation becomes particularly difficult in spring and summer, when water shortages become even more painful for the inhabitants. The absence of sustainable water supply and wastewater systems has been a challenge for all households, which they have been trying to address over the years through individual improvisatory solutions.

To address these challenges, water supply and wastewater infrastructure is currently being constructed in Mukhaestate village under the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program. The objective of the project is to improve WASH conditions in the settlement and establish a safe, 24/7 water supply system.



In addition to the water supply system, wastewater infrastructure is being constructed in the village. At this moment, the construction of three communal septic tanks is underway, which will support the safe management of wastewater in the settlement.

The Mukhaestate village project is particularly notable within the program because it will be the only settlement where an elevated reservoir will be installed. The elevated reservoir will ensure stable water pressure and reliable distribution of water across different parts of the village. Residents will be supplied from groundwater sources.



The construction works in Mukhaestate Settlement are planned to be completed by the end of 2026, after which the local population will benefit from upgraded water supply and wastewater infrastructure.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.